საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ბრძანება

KARR0143271388417

№01-28 **05 / ივლისი / 2017 წ.**

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სტუდენტთა შიდა მობილობის ვადებისა და შიდა მობილობისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის №1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის მე-40 მუხლის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სტუდენტთა რეგისტრაციის და მობილობის პროცესის პროცედურის“ ND 2-F02 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დადგინდეს სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სტუდენტთა შიდა მობილობის რეგისტრაციის ვადა - 5 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით, ხოლო მობილობის პერიოდი (ბრძანების მომზადებისა და ადმინისტრაციული წარმოების ვადა) განისაზღვროს - 2017 წლის 14 ივლისამდე.
2. შიდა მობილობის პროცესში უპირატესობა მიენიჭოს ერთი ფაკულტეტის ფარგლებში სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველ სტუდენტებს.
3. საზღვაო - საინჟინრო ფაკულტეტისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს:
ა) „საზღვაო ნავიგაციის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 10 სტუდენტი;
ბ) „გემის მექანიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 25 სტუდენტი;
გ) „გემის ელექტრომექანიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 25 სტუდენტი;
დ) „ნავსადგურებისა და ტერმინალების გადამტვირთავი აღჭურვილობის ექსპლუატაციის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 25 სტუდენტი;
ე) „საზღვაო ტრანსპორტის მართვის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 სტუდენტი;
ვ) „გემის ენერგეტიკული დანადგარები და მექანიზმები“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 სტუდენტი;
ზ) „გემების, პორტების და საზღვაო ტერმინალების ენერგეტიკული დანადგარები” მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 სტუდენტი;
თ) „გემებისა და პორტების ელექტროენერგეტიკული სისტემები და დანადგარები“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 სტუდენტი;
4. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს:
ა) „მენეჯმენტი-საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 10 სტუდენტი;
ბ) „მენეჯმენტი - ნავსადგურის მენეჯმენტის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 10 სტუდენტი;

გ) „ტურიზმი - საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 10 სტუდენტი;
დ) „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 2 სტუდენტი;
ე) „ლოჯისტიკა და ექპედირება“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა-2 სტუდენტი;
5. დაევალოს რექტორის აპარატს შიდა მობილობის ვადებისა და სტუდენტთა შიდა მობილობისათვის ადგილების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის განთავსება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ირაკლი შარაბიძე